**გ.** ხანგრძლივ სტრესს შეუძლია **მათი** (____________________________________) გამოწვევა (*მძიმე დაავადება*).

**დ.** ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს **ისინი** (____________________________________) (*ოჯახური კონფლიქტი*).

**ე.** ნეგატიური სტრესფაქტორები განსაკუთრებით დიდ საფრთხეს უქმნის **იმათ** (_____________________________), რომლებიც ამ ასაკში დიდი მგრძნობელობით გამოირჩევიან (*ის მოზარდი*).

**ვ.** **მას** (____________________) შეიძლება ჰქონდეს მკვეთრი **ისინი** (______________________), როდესაც აღნიშნავენ მის ნაკლს (*მოზარდი / რეაქცია*).

**ზ.** **ისინი** (________________________) გულჩათხრობილები და დეპრესიულები ხდებიან (*მოზარდი*).

**3. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მოცემული მითითებები.**

**ა.** დაასახელე ხაზგასმული ნაცვალსახელების ბრუნვა და რიცხვი.

**ბ.** მოძებნე წინადადებებში ჩვენებითი ნაცვალსახელები და გაუსვი ქვეშ ხაზი. დაასახელე:

1. რომელ პირთან მყოფობას მიუთითებს?

2. რომელ ბრუნვაშია?

**4. გამოიყენე მოცემული სიტყვები, დააკვირდი ფოტოებს და დაასახელე, ვინ რომელ ემოციას გამოხატავს? მიუთითე, ვინ რით გამოხატავს ამ ემოციას – მიმიკით თუ მოქმედებით?**

გაბრაზებას შიშს სიძულვილს აღშფოთებას მწუხარებას დაღლილობას
სასოწარკვეთილებას გაღიზიანებას მარტოობას აღფრთოვანებას გაოცებას
უკმაყოფილებას შურისძიებას გულგრილობას გაკვირვებას სიხარულს




**5. დაუბრუნდი წინა დავალებაში მოცემულ სიტყვებს და დააჯგუფე ისინი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.**

1. დადებითი: ______________________________
______________________________
______________________________
2. უარყოფითი: ______________________________
______________________________
______________________________
3. სინონიმები: ______________________________
______________________________
______________________________
4. ანტონიმები: ______________________________
______________________________
______________________________

**1. შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით.**

| | აწმყო | უწყვეტელი | წყვეტილი | მყოფადი |
|---|---|---|---|---|
| ჯავრი (ჯავრობა)<br>სიბრაზე (ბრაზობა)<br>შფოთვა<br>წუხილი | ჯავრობს<br>ბრაზობს<br>შფოთავს<br>წუხს | ჯავრობდა | იჯავრა | იჯავრებს |
| | **აწმყო** | **უწყვეტელი** | **წყვეტილი** | **მყოფადი** |
| **გა**ბრაზება<br>**აღ**შფოთება<br>**გა**ჯავრება<br>**შე**წუხება<br>**გა**ღიზიანება | ბრაზდება<br>__________<br>ჯავრდება<br>წუხდება<br>ღიზიანდება | ბრაზდებ**ოდა** | გაბრაზდა | გაბრაზდება |

**2. გამოიყენე ცხრილი და შეავსე წინადადებაში გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ზმნების სათანადო ფორმებით.**

ა. მე სერიოზულად არასოდეს ______________________ (გაბრაზება).
ბ. ბავშვობაში ხშირად ______________________ (სიბრაზე) ჩემს დაზე.
გ. დედა აუცილებლად ______________________ (გაბრაზება) შენს საქციელზე.
დ. გუშინ ის ძალიან ______________________ (გაღიზიანება) იმიტომ, რომ მუშაობაში ხელი შევუშალე.
ე. მთელი დღე ______________________ (წუხილი) იმის გამო, რომ არ ვიცოდი, რა მექნა.
ვ. თავი მეტკინა, ______________________ (შეწუხება) ამდენი ლაპარაკით.

**3. ამოწერე ტექსტიდან (მოსწ. წიგნი, გვ. 31) შესაბამისი ინფორმაციები და გააცანი კლასელებს.**






Done-10_RVEULI _ 74

**4. გამოიყენე წინა დავალება და ისაუბრე სტრესის შესახებ მოცემული შეკითხვების გათვალისწინებით.**

**ა.** რა არის სტრესი?
**ბ.** რა იწვევს მას?
**გ.** როგორი შედეგები აქვს ხანმოკლე / ხანგრძლივ სტრესს?
**დ.** რას იწვევს ნეგატიური (უარყოფითი) სტრესფაქტორები მოზარდებში?

**5. ამოწერე ტექსტიდან (მოსწ. წიგნი, გვ. 34, დავალება №3) მრავლობითში მდგარი სახელები და სწორად გაანაწილე ცხრილში.**

| | **ებ**იანი მარავლობითი | **ნ**არ**თ**ანიანი მრავლობითი |
|---|---|---|
| **არსებითი სახელები** | | |
| **ზედსართავი სახელები** | | |

**6. დაუბრუნდი ცხრილს და შეასრულე მითითებები.**

I. დაასახელე, ცალკეული სახელის ბრუნვა და მიუთითე შესაბამისი ბრუნვის ნიშანი.

II. დაუბრუნდი ბრუნვებს:

1. გაგიჭირდა თუ არა კონკრეტული ბრუნვის დასახელება თანიანი მრავლობითის შემთხვევაში (მაგ. დაავადებულთა) და რატომ?
2. მოძებნე ტექსტში (მოსწ. წიგნი, გვ.34 ) შესაბამისი სიტყვა და კონტექსტის მიხედვით დაასახელე, რომელ ბრუნვაში დგას ის.

III. შეცვალე **ებ**იანი მრავლობითი **ნ**არ**თ**ანიანით და პირიქით, **ნ**არ**თ**ანიანი შეცვალე **ებ**იანით ცხრილშივე.

**ნიმუში:** სანგვინიკები → სანგვინიკნი
ტანადნი → ტანადები

**7. გადახაზე ზედმეტი სიტყვა.**

**ა.** სევდა ნაღველი მწუხარება ხალისი დარდი
**ბ.** თავაზიანობა სითამამე ზრდილობა მორიდება
**გ.** ალერსი მოფერება კამათი კოცნა
**დ.** ტანადი ტანმორჩილი ახოვანი წარმოსადეგი
**ე.** ვაჟკაცი ღონიერი შეუდრეკელი მშიშარა
**ვ.** ამტანობა გამძლეობა სიამაყე მოთმინება
**ზ.** ზარმაცი მხნე ენერგიული დაუზარელი
**თ.** ამპარტავანი თავმდაბალი ქედმაღალი ყოყოჩი

**8. წაიკითხე განმარტებები და დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან.**

ხმელ-ხმელი ალერსიანი ქედმაღალი ხალისიანი ამაყი ტანადი

**ა.** დიდი და მოხდენილი ტანის მქონე ადამიანი. ______________________
**ბ.** კარგი გუნების, მხიარული განწყობის მქონე. ____________________________

გ. ვინმეს ან რამის მიმართ ნაზი გრძნობის, სიყვარულის გამომხატველი. ______________________________________

დ. საკმაოდ გამხდარი ადამიანი. ____________________

ე. თავმომწონე, ამპარტავანი ადამიანი. ____________________

ვ. ადამიანი, რომელიც სხვებს ზემოდან დაჰყურებს. ____________________

**1. გადახაზე ზრდმეტი სიტყვა. დაასახელე, რა აქვს საერთო დანარჩენ სიტყვებს ერთმანეთთან.**

*მოუქნელი უუნარო მოუხერხებელი ენერგიული უხეირო*

**2. გამოიყენე წინა დავალება და მიუწერე საპირისპირო ცალი.**

მოხერხებული ____________________ ხეირიანი ____________________

მოქნილი ____________________ უნარიანი ____________________

**3. დაუბრუნდი ტექსტს (მოსწ. წიგნი, გვ. 34 ), ამოწერე ადამიანის *გარეგნობის, ხასიათის, თვისებების, მისი შინაგანი მდგომარეობის* გამომხატველი სიტყვები და სწორად გაანაწილე ცხრილში. იმუშავე მეწყვილესთან ერთად.**

| | |
|---|---|
| გარეგნობა | |
| ხასიათი/თვისება | |
| შინაგანი მდგომარეობა | |

**4. გამოიყენე ჰიპოკრატეს აღწერილობა (მოსწ. წიგნი, გვ. 34), წაიკითხე ქვემოთ მოცემული ინფორმაცია და განსაზღვრე თითოეულის ფსიქოლოგიური ტიპი. ჩაწერე, რომელია: სანგვინიკი, მელანქოლიკი, ქოლერიკი თუ ფლეგმატიკი.**

I. გარეგნულად არის წარმოსადეგი, მოხდენილი ტანის მქონე და ღონიერი. თავაზიანი, მხიარული და თბილია. არის კომუნიკაბელური, აქტიური და მოძრავი. ახასიათებს, აგრეთვე, მოუთმენლობა და სიზარმაცე. მართალია, ძლიერი და გაწონასწორებულია, თუმცა ხშირად დაუფიქრებლად იქცევა. უჭირს კონცენტრირება და კარგავს ხანგრძლივი სამუშაოს შესრულების უნარს.

II. არის ძლიერი და გაწონასწორებული, ხშირად პასიური და უმოძრაოა. ძალიან უყვარს სიმშვიდე და ძილი. არის მომთმენი, მიზანსწრაფული და, ამავე დროს, ჯიუტიც. არის შრომისმოყვარე, აქვს მოვალეობის გრძნობა, კონცენტრირების უნარი, თუმცა ხშირად უჭირს გადაწყვეტილების მიღება.

III. აგებულებით გამხდარი და წელში გამოყვანილია. არის მებრძოლი, ენერგიული და დაუზარელი. განსაკუთრებით ახასიათებს გამბედაობა და მიზანსწრაფულობა. ადვილად ამყარებს კონტაქტს სხვებთან, თუმცა თავისი აგრესიულობითა და თავშეუკავებლობით ხშირად იწვევს კონფლიქტებს. გულცივი და ამპარტავანია. ხშირად იცვლის გუნება-განწყობას. აქვს თვითშეფასების მაღალი უნარი. ნიჭიერია. განსაკუთრებით, ხელოვნება იტაცებს.

IV. ძირითადად, სულ სევდიანი და დარდიანია. ძალიან მგრძნობიარე და ემოციურია. აქვს ზედმეტად რბილი ხასიათი. ამჟღავნებს სხვების მიმართ კეთილგანწყობას. აქვს თანადგომისა და გულისხმიერების უნარი, თუმცა საკუთარ თავში ჩაკეტილია და ხშირად უჭირს სხვებთან კონტაქტის დამყარება. არის თვითკრიტიკული.

**5. შეავსე ცხრილი წინა დავალების მიხედვით. წაიკითხე და შეადარე სხვების მოსაზრებებს.**

| | გარეგნობა | დადებითი თვისებები | უარყოფითი თვისებები |
|---|---|---|---|
|  სანგვინიკი | | | |
|  მელანქოლიკი | | | |
|  ქოლერიკი | | | |
|  ფლეგმატიკი | | | |

**6. დაუბრუნდი ცხრილს. თავიდან გაეცანი იქ მოცემულ ინფორმაციას და შეასრულე მითითებები.**

- მონიშნე, თითოეული ფსიქოტიპიდან შენ რომელი გახასიათებს.
- დააკვირდი, რომელი ფსიქოლოგიური ტიპი ჭარბობს შენში და რომელი – არა.
- გააცანი კლასელებს შენი ფსიქოტიპი და გაამყარე ცალკეული მოსაზრება კონკრეტული მაგალითით.

გამოიყენე ფრაზები: მე უფრო მეტად .... ვარ.
მართალია, ... და ... ვარ, თუმცა (მაგრამ)
ხშირად (იშვიათად/ ხანდახან...) .... ვიქცევი.
(არ) მიჭირს + ...-ის საწყისი (მიღება / დამყარება / შენარჩუნება...)
(არ) ვკარგავ + ...-ის უნარს / მოთმინებას / წონასწორობას...

**7. დაასრულე შენ შესახებ და წაიკითხე.**

**ა.** ვერ ვიტან ____________________

**ბ.** მიყვარს ____________________

**გ.** მომწონს ____________________

**დ.** მაღიზიანებს ____________________

**1. კარგად იცნობ თუ არა საკუთარ თავსა და შენს მეწყვილეს? შეავსე ცხრილი მოცემული მითითებების გათვალისწინებით.**

I. ცხრილის I და II სვეტებში მონიშნე ის უჯრები, რომლებიც, შენი აზრით, გახასიათებთ შენ და შენს მეწყვილეს.

| | შენი აზრით | | მეწყვ. აზრით | |
|---|---|---|---|---|
| | **შენ შესახებ** | **შენი მეწყვილის შესახებ** | **შენ შესახებ** | **საკუთარი თავის შესახებ** |
| 1. ადამიანებს შეუძლიათ, ადვილად მოგატყუონ. გულუბრყვილო | | | | |
| 2. ხშირად იცვლი მეგობრებს. | | | | |
| 3. გაღიზიანებს ერთფეროვანი ცხოვრება. | | | | |
| 4. არასოდეს ინტერესდები, რას ფიქრობენ სხვები შენ შესახებ. | | | | |
| 5. მუდმივად ექებ პრობლემებს. | | | | |
| 6. იშვიათად ცდილობ ახალგაცნობილ ადამიანთან ახლო კონტაქტის დამყარებას. | | | | |
| 7. გიყვარს გულგახსნილი და მხიარული ადამიანები. | | | | |
| 8. გაურბიხარ ზედმეტ პრობლემებს. | | | | |
| 9. პატარა შენიშვნასაც კი ვერ იტან და მაშინვე ჩხუბზე გადადიხარ. | | | | |
| 10. ცდილობ, თავიდან აირიდო კონფლიქტები. | | | | |
| 11. ყველაფერი გულთან მიგაქვს, ადვილად გწყინს და ამის გამო თავს დაჩაგრულად მიიჩნევ. | | | | |
| 12. თავს გრძნობ გარიყულად. | | | | |

II. დაუბრუნდი ცხრილში მოცემულ ფრაზებს და, ნიმუშის მიხედვით, დააკავშირე მოცემულ სიტყვებთან. ჩაწერე, როგორია.

~~გულუბრყვილო~~ ემოციური თავშეკავებული ცვალებადი კომუნიკაბელური ხიფათიანი ჩაკეტილი მხიარული ამბიციური გულჩათხრობილი თანშეუკავებელი გულგრილი თამამი გაწონასწორებული მშვიდი

III. მოუსმინე მეწყვილეს და მისი მოსაზრებები მონიშნე III და IV სვეტებში.

IV. შეადარე შენი და შენი მეწყვილის ვარიანტები ერთმანეთს. რა დაემთხვა და რა – არა? წაიკითხეთ და გააცანით ერთმანეთს.

V. ამოწერე ცხრილიდან ზმნები და შეუწყვე პირები. მიუთითე, რომელია სუბიექტი და გაუსვი ხაზი სუბიექტის პირისა და რიცხვის ნიშანს ნიმუშის მიხედვით.

| | |
|---|---|
| **ვინიანი ზმნები** | *ცდილობს ის (S) მას;* |
| **მანიანი ზმნები** | *შეუძლიათ მათ (S) ის;* |

**2. სწორად შეარჩიე ზმნა და ჩაწერე.**

ვეძებ/გავურბივარ; ვცდილობ; მაღიზიანებს; ვიცვლი; გადავდივარ; მიმაქვს; მივიჩნევ/ვგრძნობ.

ა. პრობლემებს ________________________

ბ. ერთფეროვნება ________________________

გ. თავს გარიყულად ________________________

დ. ყველაფერი გულთან ________________________

ე. კონტაქტის დამყარებას ________________________

ვ. ჩხუბზე ________________________

ზ. მეგობრებს ________________________

**3. მე-80 გვერდზე მოცემულია მხატვარ-კარიკატურისტის, ჰერლუფ ბიდსტრუპის, ნახატი, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა ადამიანის რეაქცია ერთსა და იმავე სიტუაციაში. გამოიყენე ნახატი და შეასრულე მის ქვემოთ მოცემული მითითებები.**



I. დააკონკრეტე სიტუაცია კითხვების დახმარებით:

ა. ვინ არიან ეს ადამიანები ერთმანეთისთვის (ნაცნობები / უცნობები; მეგობრები...)

ბ. გამოიყენე მოცემული სიტყვები, დააკვირდი სიტუაციების დასაწყისებს და აღწერე ოთხივე სიტუაციაში მონაწილე ადამიანები.

მსუქანი მაღალი გამხდარი მელოტი ნახევრად მელოტი
ულვაშიანი ჩიბუხიანი ჰალსტუხიანი

გ. აღწერე სიტუაციების დასაწყისები: ვინ იჯდა სკამზე? სად დადო ქუდი? ვინ მოვიდა შემდეგ? რა ქნა მან შემთხვევით?

დ. რა მოხდა შემდეგ? შეადარე ოთხივე სიტუაციაში ქუდების პატრონების რეაქციები ერთმანეთს: ვის არ ჰქონია რეაქცია საერთოდ? ვინ განაწყენდა? ვინ გაბრაზდა საშინლად და ვინ გამხიარულდა?

ე. გამოიყენე მოცემული სიტყვები და დაახასიათე ქუდების პატრონები: ვინ როგორია?

მგრძნობიარე ჩუმი უემოციო აგრესიული იმპულსური მხიარული გულგრილი
ლაღი შეწუხებული ბრაზიანი მშვიდი გულჩათხრობილი წყნარი

II. შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები (გამოიყენე როგორც გარეგნობის, ისე თვისების აღმნიშვნელი სიტყვები). წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.

1. ______________________ და ______________________ კაცი უყურებს ქუდს და ტირის.
2. ______________________ და ______________________ კაცი გულგრილად იხურავს ქუდს და აგრძელებს მოწევას.
3. ______________________ და ______________________ კაცი იცინის.
4. ______________________ და ______________________ კაცი ღრიალებს.

III. განსაზღვრე ქუდების პატრონების ფსიქოტიპი. დაასახელე, რომელია მათგან სანგვინიკი, ქოლერიკი, მელანქოლიკი და ფლეგმატიკი. დაასაბუთე შენი პოზიცია.

**1. გამოიყენე წიგნში მოცემული ინფორმაცია ზოდიაქოს ნიშნების შესახებ (გვ. 35, დავალება №7) და უპასუხე შეკითხვებს.**

ა. რა აქვს საერთო:

1. ვერძსა და თხის რქას? ______________________
2. ლომსა და მორიელს? ______________________
3. კირჩხიბსა და კუროს? ______________________

ბ. რა შემთხვევაში ვარდება სტრესულ მდგომარეობაში:

1. მერწყული? ______________________
2. ქალწული? ______________________

გ. რომელი ნიშნების ქვეშ დაბადებულ ადამიანებს:

1. აქვთ ცვალებადი ხასიათი? ______________________
2. უჭირთ გადაწყვეტილების მიღება? ______________________
3. საკუთარი გრძნობების მართვა? ______________________

დ. რომელი ნიშნების ქვეშ დაბადებული ადამიანები:

1. გამოირჩევიან ძლიერი ხასიათით? ______________________
2. არიან მეტისმეტად ემოციურები? ______________________
3. არიან სიმართლისმოყვარულნი? ______________________

**2. წაიკითხე მოცემული რჩევები და დააკავშირე ზოდიაქოს შესაბამის ნიშანთან. ვის სჭირდება ეს რჩევა და რატომ? ამოწერე ფრაზები, რომლებიც შენს გადაწყვეტილებას დაასაბუთებს.**

ნიმუში:

| რჩევა | ზოდიაქოს ნიშანი | ხასიათის თვისება |
|---|---|---|
| სწორად შეაფასე შენი შესაძლებლობები! | ვერძი | თუ რამე არ გამოსდის, ბრაზობს და წონასწორობას კარგავს. |

| რჩევა | ზოდიაქოს ნიშანი | ხასიათის თვისება |
|---|---|---|
| 1. ისწავლე საკუთარი თავის მართვა! | | |
| 2. არ ინერვიულო იმაზე, რასაც აღარ ეშველება! | | |
| 3. გირჩევ, გაითვალისწინო სხვების აზრი და რჩევები! | | |
| 4. ნუ დაიგროვებ წყენას! | | |
| 5. სასურველია, გასაკეთებელი საქმე წინასწარ გაანაწილო დროში! | | |
| 6. უნდა გახსოვდეს, რომ არსებობენ სხვებიც, რომლებსაც საკუთარი აზრი აქვთ! | | |
| 7. სანამ რამეს იტყოდე, სათქმელი წინასწარ აწონ-დაწონე! | | |

**1. დაუბრუნდი წინა დავალებაში მოცემულ რჩევებს და უპასუხე შეკითხვებს. მიუწერე შესაბამისი რჩევის ნომერი.**

**ა.** რომლები გამოხატავს აკრძალვას? ______________________

**ბ.** რომელია მათ შორის კატეგორიული მოთხოვნა? _________

**გ.** რომელი გამოხატავს:

1. რჩევას? _________

2. სურვილს? _________

3. აუცილებლობას? _________

**2. შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით.**

| *გაბრაზდი!* | *არ გაბრაზდე!* | *ნუ გაბრაზდები!* |
|---|---|---|
| მოითმინე! | ______ | ______ |
| აფეთქდი! | ______ | ______ |
| დამშვიდდი! | ______ | ______ |
| განაწყენდი! | ______ | ______ |
| ინერვიულე! | ______ | ______ |
| დაითრგუნე! | ______ | ______ |
| ეცადე! | ______ | ______ |
| დაეხმარე! | ______ | ______ |
| მოახერხე! | ______ | ______ |
| დაინახე! | ______ | ______ |
| მიიღე! | ______ | ______ |
| დაკარგე! | ______ | ______ |
| მოასწარი! | ______ | ______ |
| მართე! | ______ | ______ |
| აჩქარდი! | ______ | ______ |
| მოდუნდი! | ______ | ______ |
| განიცადე! | ______ | ______ |
| იმოქმედე! | ______ | ______ |
| მიიტანე! | ______ | ______ |
| ისწავლე! | ______ | ______ |
| გაითვალისწინე! | ______ | ______ |
| გაანაწილე! | ______ | ______ |
| თქვი! | ______ | ______ |
| შეხედე! | ______ | ______ |

**1. გამოიყენე წინა დავალებაში მოცემული ცხრილი და კონტექსტის მიხედვით შეავსე წინადადებებში გამოტოვებული ადგილები. წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.**

ა. წონასწორობა ______________________________!
ბ. ნუ _____________________ მოთმინებას!
გ. __________________________ მას, ვისაც უჭირს!
დ. ____________________, მშვიდად შეხედო პრობლემებს!
ე. არ _______________________________, ყველაფერი კარგად იქნება!
ვ. ნუ _______________________ უსამართლობას!
ზ. _______________________ საკუთარ შეცდომებზე!
თ. დრო სწორად ___________________________!
ი. ______________________________ სხვისი აზრი!
კ. ________________________ საკუთარი ემოციები!
ლ. არ _______________________ საკუთარი თავის რწმენა!
მ. ნუ _________________________ პრობლემებს გულთან ახლოს!
ნ. ყველაფერს _________________________ მშვიდად!
ო. ნუ __________________________ ყველა წვრილმანზე!

**2. აირჩიე ზოდიაქოს კონკრეტული ნიშანი, შეავსე ინფორმაციით და შეასრულე მოცემული მითითებები.**

I. მოიძიე ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ორი თანაკლასელი და შეავსე ცხრილი.

| | | |
|---|---|---|
| **მიუთითე ზოდიაქოს ნიშანი:** ______________ | ჩაწერე ზოგადი ინფორმაცია ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულების შესახებ: ______________ | ზოგადი ინფორმაციის მიხედვით, განსაზღვრე ფსიქოტიპი: ______________ |
| **1. სახელი და გვარი:** ______________ | დაახასიათე, როგორია: ______________ | მისი ქცევებისა და თვისებების მიხედვით, განსაზღვრე მისი ფსიქოტიპი: ______________ |
| **2. სახელი და გვარი:** ______________ | დაახასიათე, როგორია: ______________ | მისი ქცევებისა და თვისებების მიხედვით, განსაზღვრე მისი ფსიქოტიპი: ______________ |

II. შეადარე მონაცემები ერთმანეთს – დააკონკრეტე, რა დაემთხვა და რა – არა.

III. გააცანი შენი ნამუშევარი კლასელებს.

**3. გაითვალისწინე მათი ხასიათის თვისებები და ურჩიე, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ აირიდონ სტრესული სიტუაციები. გააცანი მათ შენი რჩევები.**

| რა არ უნდა გააკეთონ? | რა უნდა გააკეთონ? |
|---|---|
| | |

3. არაორდინალური ადამიანები

**1. შეასრულე წიგნში მოცემული მე-5 დავალება (გვ. 37 ). გაასწორე მცდარი ინფორმაცია რვეულში.**

ა. ____________________

ბ. ____________________

გ. ____________________

**2. აირჩიე და ჩასვი შესაფერისი ვარიანტი.**

ა. ჯონ ლენონი ____________ ნიჭიერებით გამოირჩეოდა. (*ერთფეროვანი / მრავალფეროვანი / მრავალმხრივი*)

ბ. ბითლებმა მთელი მსოფლიო ____________. (*დაიპყრეს / დაიკავეს / დაამარცხეს*)

გ. მათ პოპულარულობას საზღვარი არ ____________. (*მისცეს / ჰქონდა / ჩაუკეტეს*)

**3. გაიხსენე ტექსტი და დაასრულე წინადადებები. ყურადღება მიაქციე ფორმათა სიზუსტეს. მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი დავალება.**

ა. ჯონ ლენონი ვერ იტანდა ____________.

ბ. ის საგანგებოდ სწავლობდა ____________.

გ. მას ძალიან უყვარდა ____________.

დ. ის პერიოდულად უშვებდა ____________.

**4. უპასუხე შეკითხვებს ტექსტის მიხედვით (მოსწ. წიგნი, გვ. 37, №7).**

ა. სადაურები არიან ჯგუფ „ბლიცის“ წევრები? ____________

ბ. რა მოხდა:

1. XX საუკუნის 70-იან წლებში? ____________
2. 1989 წელს? ____________

გ. რომელ ტრადიციაზეა საუბარი ტექსტში? ____________

დ. ვინ მონაწილეობს ფესტივალში? ____________

ე. სად ტარდება ეს ფესტივალი? ____________

ვ. რა კრიტერიუმებით ადგენენ გამარჯვებულს? ____________

ზ. ვინ იყვნენ 1989 წელს ფესტივალის ჟიურის წევრები? ____________

თ. რა წარმატებები მოუტანა „ბლიცის“ წევრებს ფესტივალმა? ____________

ი. რას გულისხმობს ლივერპულის საპატიო მოქალაქეობა? ____________

**5. გამოიყენე ტექსტი ინდირა განდის შესახებ (მოსწ. წიგნი, გვ. 38) და მონიშნე ცხრილში შესაბამისი უჯრა.**

| | სწორია | არ არის სწორი | არ ჩანს |
|---|---|---|---|
| ა. ინდირა განდიმ ბავშვობა სიღარიბეში გაატარა. | | | |
| ბ. მას ძალიან უყვარდა მამასთან ყოფნა. | | | |
| გ. ბავშვობაში ინდირა განდი ძალიან თამამი გოგონა იყო. | | | |
| დ. ის შვილებს ძილის წინ ზღაპრებს უკითხავდა. | | | |
| ე. ის ცდილობდა, შვილები დამოუკიდებლად აღეზარდა. | | | |
| ვ. მისი სიკვდილის დღეს ინდოეთში ცუდი ამინდი იყო. | | | |

**6. უპასუხე შეკითხვებს ტექსტზე დაყრდნობით.**

ა. რა თვისებით ადარებდა ინდირა განდი საკუთარ თავს ჟანა დ'არკს?
ბ. როდიდან დაიწყო მან პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ფიქრი და რაში მჟღავნდებოდა ეს?
გ. რატომ ცდილობდა ის, რომ მთელი დრო შვილებისთვის დაეთმო?
დ. რაში მჟღავნდებოდა მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი?
ე. საიდან ჩანს, რომ ის სხვა ბავშვებისაგან განსხვავებული და მიზანსწრაფული იყო?

**7. დაუბრუნდი მის ურთიერთობას მამასთან და საკუთარ შვილებთან. შეასრულე მოცემული მითითებები:**

ა. მოძებნე და დაასახელე, როგორი იყო ეს ურთიერთობა და რაში მჟღავნდებოდა კონკრეტულად?
ბ. შენი აზრით, რა იყო ამ ურთიერთობებში ყველაზე მთავარი? ამოწერე და დაასაბუთე შენი პოზიცია.

**8. გამოიყენე წიგნში მოცემული ორივე ტექსტი (გვ. 38-39 ) და შეავსე ცხრილი სათანადო ინფორმაციით.**

| | ინდირა განდი | მარგარეტ ტეტჩერი |
|---|---|---|
| **I. პირადი მონაცემები:**<br>ა. დაბადების / გადაცვალების თარიღები;<br>ბ. სტატუსი /თანამდებობა | | |
| **II. ოჯახი, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა:**<br>ა. საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნებოდა?<br>ბ. ეკონომიური მდგომარეობა;<br>გ. მშობლების საქმიანობა;<br>დ. რწმენასთან დამოკიდებულება;<br>ე. აღზრდის პრინციპები. | | |

| | | |
|---|---|---|
| **III. მშობლებთან ურთიერთობა** | | |
| **IV. განათლება** | | |
| **V. საქმიანობა / მოღვაწეობა** | | |
| **VI. ხასიათი / თვისებები** | | |
| **VII. ინტერესები, მისწრაფებები** | | |
| **VIII. საკუთარ ოჯახში:**<br>ა. ურთიერთობები<br>ბ. საქმიანობა | | |
| **IX. მეტსახელი** | | |
| **X. როგორი დარჩა მეხსიერებაში** | | |

**1. გამოიყენე ცხრილი და დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები ინდირა განდისა და მარგარეტ ტეტჩერის შესახებ.**

ნიმუში: ვინ დაიბადა ..... წელს? ვინ იყო ინდოელი?
რა ერქვა და რას საქმიანობდა ____ მამა?
რა აკავშირებთ მათ ოქსფორდის უნივერსიტეტთან?
როგორი ურთიერთობა ჰქონდა .... მამასთან / მშობლებთან?

**2. დაუბრუნდი ცხრილს და იქ მოცემული ინფორმაცია დაახარისხე მსგავსება-განსხვავების მიხედვით.**

| | |
|---|---|
| **რა მსგავსებაა მათ შორის?** | |
| **რა განსხვავებაა მათ შორის?** | |

**3. დაუბრუნდი წინა დავალებას და ისაუბრე ინდირა განდისა და მარგარეტ ტეტჩერს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებების შესახებ.**

გამოიყენე: ორივე არის/ წარმოადგენს/ გაიზარდა...
მათ ორივეს აქვს/ ჰყავს/ აინტერესებს...
...-ის მსგავსად, ...
...-ისგან განსხვავებით, .....

**4. გამოიყენე ტექსტი სალვადორ დალის შესახებ და შეავსე მეწყვილესთან ერთად. წაიკითხე და შეადარე სხვების ნაწერებს.**

პირადი მონაცემები
ა. სახელი და გვარი:
ბ. პროფესია:
გ. დაბადების თარიღი/ადგილი:
დ. ოჯახი:
ე. გარდაცვალების თარიღი:
ვ. დაკრძალვის ადგილი:

**ურთიერთობები**
ა. დასთან:
ბ. კლასელებთან:
გ. პედაგოგებთან:
დ. რეჟისორ ალფრედ ჰიჩკოკთან:



თვისებები

გატაცებები, ინტერესები, ნიჭი და უნარი

მოღვაწეობა / საქმიანობა

**5. გამოიყენე წინა დავალება და შეადგინე შეკითხვები სალვადორ დალის შესახებ.**

**ნიმუში:** *ვინ იყო სალვადორ დალი პროფესიით? სად დაიბადა? ვისთან ერთად ჯდებოდა მწვანე „კადილაკში“?*

**1. დაუსვით თქვენი შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.**

**2. დაუბრუნდი მოცემულ მონაკვეთს და შეასრულე მითითებები.**

სალვადორი ძალიან განათლებული ბავშვი იყო. აინტერესებდა ფსიქოლოგია, ფილოსოფია და პოლიტიკა. კლასელები მასთან არ მეგობრობდნენ, მეტისმეტად თავდაჯერებულად და ამაყად მიაჩნდათ. მართალია, მორიდებული ბავშვი იყო, თუმცა თავისი საქციელით ახლობლების შეძრწუნება ბავშვობაშივე შეეძლო. პედაგოგებიც უჩიოდნენ, რადგან პრინციპულად არ პასუხობდა კითხვებს – ამ საკითხზე თქვენზე მეტი ვიციო.

I. დაასრულე შეკითხვები სალვადორ დალის შესახებ, წაიკითხე და შეადარე სხვების ვარიანტებს.

**ა.** როგორი ________________________________?

**ბ.** ვისთან ________________________________?

**გ.** რა ________________________________?

**დ.** ვის ________________________________?

**ე.** ვისი ________________________________?

**ვ.** რას ________________________________?

**ზ.** რით ________________________________?

**თ.** როგორ ________________________________?

II. დაუსვით ეს შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.

III. დაუბრუნდი ტექსტს. რა ჩანს ხაზგასმულ სიტყვებში? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

*პატივმოყვარეობა სიამაყე უზრდელობა ამბიციურობა განათლებულობა*

IV. აღადგინე წინადადებაში სუბიექტური და ობიექტური პირები და წაიკითხე. ყურადღება მიაქციე ფორმათა სიზუსტეს.

**ა.** ______________ მეტისმეტად თავდაჯერებულად და ამაყად მიაჩნდათ ________

**ბ.** ______________ აინტერესებდა ფსიქოლოგია, ფილოსოფია და პოლიტიკა.

**გ.** ______________პრინციპულად არ პასუხობდა ____________________.

V. შეცვალე ხაზგასმული სიტყვები შესაბამისი ნაცვალსახელებით, ჩაწერე და წაიკითხე.

**ა.** თავისი საქციელით **ახლობლების** (____________) შეძრწუნება ბავშვობაშივე შეეძლო.

**ბ.** სალვადორი პრინციპულად არ პასუხობდა **პედაგოგების** (____________) კითხვებს.

**გ.** **კლასელები** (__________) მასთან არ მეგობრობდნენ.

**3. უპასუხე ტექსტის მიხედვით (მოსწ. წიგნი, გვ. 43 ).**

ა. რას განიცდიდა ყოველ დილით სალვადორ დალი და რის გამო? ______________

ბ. რა ანიჭებდა მას სიამოვნებას? ______________

გ. რით იყო საზოგადოება განცვიფრებული სალვადორ დალისაგან? ______________

დ. რას აკეთებდა მხატვარი ხალისით? ______________

ე. რა ფუნქცია ჰქონდათ ცხენს და აქლემს საზეიმო შეხვედრებზე? ______________

ვ. რომელ ფერს ანიჭებდა სალვადორ დალი უპირატესობას? ______________

ზ. სად და რისთვის იყენებდა ხოლმე სალვადორ დალი ბუზებს? ______________

თ. რას აკეთებდა სასტუმროს პერსონალი მისი წასვლის შემდეგ და რატომ? ______________

ი. როგორ ახასიათებდა თავად სალვადორ დალი საკუთარ თავს? ______________

კ. იზიარებ თუ არა მხატვრის შეფასებას და რატომ? დაასაბუთე შენი პასუხი. ______________

ლ. იყო თუ არა სალვადორ დალი ძალინ მდიდარი ადამიანი? საიდან ჩანს ეს? ______________

**4. წაიკითხე განმარტება, მოძებნე ტექსტში შესაბამისი სიტყვა და ამოწერე.**

ა. ზღვის წვრილი თევზი, ______________

ბ. დიდი წვეულება, ნადიმი, ლხინი, ______________

გ. დროებითი სარგებლობისათვის ქირით აღება, ______________

დ. ცხვრისა და თხის ფარა, ______________

ე. იგივეა, რაც საყოველთაოდ, სახალხოდ, ______________

ვ. ხელოვნების, ოსტატობის ნიმუში, ქმნილება, ______________

1. **წაიკითხე და დააკონკრეტე ხაზგასმული სიტყვები.**

   ა. *„ნეტა, დღეს რა* ***შესანიშნავი რამეების*** *გაკეთებას აპირებს ეს სალვადორ დალი?“, – ამბობდა მხატვარი.*

   ბ. ***სასტუმროს პერსონალი*** *მხატვრის წასვლის შემდეგ მასზე დაუჯერებელ ისტორიებს ჰყვებოდა.*

   გ. ***შთაგონებისათვის*** *მხატვარს ზოგჯერ ბუზები სჭირდებოდა.*

   დ. *ის სიცოცხლის ბოლომდე განაცვიფრებდა საზოგადოებას თავისი* ***ექსტრავაგანტური საქციელითა და გამონათქვამებით.***

2. **გაასწორე შეცდომები და განმარტე ხაზგასმული სიტყვები.**

| | |
|---|---|
| ზოგჯერ თავიდან ფეხებამდე მწვანე ფერის ფეხსაცმელს იცვამდა, მწვანე ფერის „კადილაკში“ ჯდებოდა, ზემოდან იმავე ფერის სამოსში ჩაცმულ მეუღლეს, გალას, ჩაისვამდა და ქუჩაში მოძრაობას აჩერებდა. | ______<br>______<br>______<br>______<br>______<br>______ |

3. **დაუბრუნდი წინა დავალებას და უპასუხე შეკითხვას: როგორ აჩერებდა ქუჩაში მოძრაობას, შენი აზრით, სალვადორ დალი?**

4. **შეარჩიე სწორი ვარიანტი და ჩაწერე გამოტოვებულ ადგილას.**

   ა. ერთხელ დალიმ თავის ______________ (*დაფასებისათვის / პატივისცემისათვის / პატივსაცემად*) მეჯლისი მოაწყო.

   ბ. დალის აზრით, ______________ (*შეჯგუფებული / შეკრებილი / შეგროვებული*) საზოგადოება შედევრის დაბადებას ესწრებოდა.

   გ. მან ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო ერთი ______________ (*დღეღამით / დღე-ღამისათვის / სადღეღამისოდ*) იქირავა.

   დ. მართლაც, ______________ (*შესანიშნავად / საზღვრებგარეშე / უსაზღვროდ*) სასიამოვნოა, იყო სალვადორ დალი.

   ე. მას, მართლაც, ______________ (გასაკვირი / გასაოცარი / საოცრად) იდეები მოსდიოდა თავში.

# მოდა და სტილი

## 1. ზღაპრული ჰოლივუდი

**1. შემოხაზე, რა არის შენთვის ჰოლივუდი?**

ა. დიდი კინოინდუსტრია ☐
ბ. წითელი ხალიჩა ☐
გ. ბევერლი ჰილზი ☐
დ. უზრუნველი ცხოვრება ☐
ე. ოცნების ქალაქი ☐
ვ. სურვილების ასრულება ☐
ზ. ამერიკის მთავარი სიმბოლო ☐
თ. მსოფლიო კინემატოგრაფიის დედაქალაქი ☐
ი. თავისუფლება ☐
კ. საყვარელი ფილმები ☐
მ. ოსკარის დაჯილდოვება ☐
ნ. სითამამე, ნიჭი და იღბალი ☐
ო. ინტრიგა და სკანდალური ისტორიები ☐
პ. მსახიობთა ამერიკული სამოთხე ☐
ჟ. ლოს ანჯელესის ერთ-ერთი უბანი ☐
რ. გართობა ☐

**2. დაუბრუნდი წინა დავალებას. გაიხსენე ბავშვების რეპლიკები და მონიშნე უჯრებში, რა არის მათთვის ჰოლივუდი.**

**3. შეადარე შენი და ბავშვების მოსაზრებები ერთმანეთს. დაასახელე, რა დაემთხვა და რა – არა.**

**4. გამოიყენე პირველი დავალება და შეავსე ქვემოთ მოცემული წინადადებები. წაიკითხე და შეადარე სხვების ვერსიებს.**

ა. ______________________ ჰოლივუდის მთავარი ქუჩაა.
ბ. ჰოლივუდში ყოველწლიურად ტარდება ______________________.
გ. ჰოლივუდი მსახიობებისათვის არის ______________________.
დ. ჰოლივუდს ______________________ უწოდებენ.
ე. ______________________ მოდის ერთგვარი ჩვენებაცაა.
ვ. ჰოლივუდს არ აკლია ______________________.
ზ. ბევრი ადამიანისათვის ჰოლივუდი ______________________.

**5. ჩაწერე სიტყვიერად.**

1870 ______________________
1886 ______________________
1911 ______________________
2500 ______________________
1960 ______________________

1. **დააკავშირე ტექსტის ინფორმაციები წინა დავალებაში მოცემულ ციფრებთან.**

   ა. ვარსკვლავების რაოდენობა ბევერლი ჰილზზე. ______________

   ბ. პირველი ჰოლივუდური ფილმის გადაღება. ______________

   გ. პირველი ვარსკვლავის გახსნა. ______________

   დ. დიდი დასახლების გაჩენა. ______________

2. **წაიკითხე და შეადარე სხვების ვერსიებს. შეამოწმე დავალების სისწორე მასწავლებლის დახმარებით.**

3. **დაუბრუნდი პირველ დავალებას და მოცემული ინფორმაციების გამოყენებით შეადგინე წინადადებები.**

   ა. ______________________________________________

   ბ. ______________________________________________

   გ. ______________________________________________

   დ. ______________________________________________

4. **მოცემული სიტყვებით შეავსე გამოტოვებული ადგილები და შეასრულე მითითებები.**

| |
|---|
| გადავიდნენ   იქცა   გადაიქცა   გაივსო   დაიწყო   გახდა |

*ჰოლივუდის ისტორია დიდი ხნის წინ ________________. მალე ამ რანჩოს ქუჩები ბულვარად ______________. ეს ადგილი მსოფლიოში ყველაზე საოცნებო ქალაქი ________________. მისი ქუჩები კინოსტუდიებითა და პავილიონებით ______________. როცა მსახიობები ბევერლი ჰილზში ________________, ეს ადგილი ვარსკვლავთა ერთ დიდ ქუჩად ________________.*

I. დაასრულე შეკითხვები და წაიკითხე. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

როდის ______________________________________________?

რისი ______________________________________________?

რით ______________________________________________?

ვინ ______________________________________________?

რა ______________________________________________?

სად ______________________________________________?

ვის ______________________________________________?

როგორი ______________________________________________?

რად ______________________________________________?

II. დაუსვით თქვენი შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.

**5. შეასრულე წიგნში მოცემული მე-4 დავალება (გვ. 49 ). გაუსვი ხაზი მცდარ ინფორმაციას ტექსტში და ცხრილის მეორე სვეტში ჩაწერე სწორი ვარიანტი. მოისმინე თავიდან და შეამოწმე შენი ნაწერი.**

| | |
|---|---|
| პირველი ოსკარი 1929 წლის 16 მაისს გადასცეს. ამ ცერემონიას სულ 4 წუთი დასჭირდა. სტატუეტი მიიღო ფილმმა „ცირკი“. სპეციალური ჯილდო მიიღო ჩარლი ჩაპლინმაც. პირველ ცერემონიას 250 ადამიანი ესწრებოდა და ბილეთი 100 დოლარი ღირდა.<br>2004 წლამდე „ოსკარის“ გადაცემის ცერემონია მარტის ბოლოს, აპრილის დასაწყისში ტარდებოდა. მას 1953 წლამდე რადიოთი გადასცემდნენ.<br>რაც შეეხება „ოქროს ჟოლოს“, ის 1981 წელს ამერიკელმა კინოკრიტიკოსმა, ჯონ უილსონმა, დააწესა. ნომინანტების სიას ცნობილი სახეები საჯაროდ ადგენენ და თავიანთ არჩევანს ცერემონიაზე ღიად აცხადებენ. | |

**6. დაუბრუნდი წინა დავალებას და შეასრულე მოცემული მითითებები.**

I. ჩაწერე მოცემული ციფრები სიტყვიერად.

1929 ______________________

250 ______________________

2004 ______________________

1953 ______________________

1981 ______________________

II. მოძებნე წინადადება, რომელიც მიუთითებს:

ა. ერთხელ მომხდარ ფაქტზე.

______________________

ბ. არაერთხელ შესრულებულ მოქმედებაზე.

______________________

გ. მოქმედებაზე, რომელსაც ჩვეულებრივ ასრულებენ ხოლმე.

______________________

III. ამოწერე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები:

*სახალხოდ, დაუფარავად,* ______________, ______________-.

IV. შეუწყვე მოცემულ ზმნებს პირები და მიუწერე, რომელია სუბიექტი (S) და რომელი – ობიექტი (O).

**გადასცეს** ____________________

**დასჭირდა** ____________________

**მიიღო** ____________________

**ესწრებოდა** ____________________

**ღირდა** ____________________

**ტარდებოდა** ____________________

**გადასცემდნენ** ____________________

**დააწესა** ____________________

**ადგენენ** ____________________

**აცხადებენ** ____________________

V. შემოხაზე, რომელია მათ შორის მანიანი ზმნა.

**1. გამოიყენე ყველა სწორი ინფორმაცია და შეავსე ცხრილი.**

| | **„ოსკარი“** | **„ოქროს ჟოლო“** |
|---|---|---|
| **რა არის?** | | |
| **ვინ ანიჭებს და როგორ?** | | |
| **ვის ანიჭებენ?** | | |
| **სად ტარდება?** | | |
| **როდის ტარდება?** | | |
| **როგორ ტარდება ცერემონია?** | | |

**2. გადაანაწილე ცხრილში მოცემული ინფორმაცია მსგავსება-განსხვავების მიხედვით და ისაუბრე მათ შესახებ.**






Done-10_RVEULI _ 96

**3. უპასუხე შეკითხვებს წინა დავალებებზე დაყრდნობით.**

ა. რა განსხვავებაა „ოსკარსა“ და „ოქროს ჟოლოს“ შორის?
ბ. რა მსგავსებაა მათ შორის?
გ. პირველად როდის გადასცეს ოსკარი?
დ. რომელი იყო პირველი ოსკაროსანი ფილმი?
ე. რამდენი კაცი ესწრებოდა პირველი ოსკარის დაჯილდოვების ცერემონიას?
ვ. რა მოხდა 1953 წელს?
ზ. ვინ არის ჯონ უილსონი და რა უკავშირდება მის სახელს?

**4. გამოიყენე წინა დავალება, დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.**

**5. მოიძიე ინფორმაცია, ვინ იყვნენ ცნობილი ოსკაროსნები და „ოქროს ჟოლოს“ მფლობელები და გააცანი კლასელებს. შეადარეთ ერთმანეთის ინფორმაციები.**

**6. ვინ ან რა იგულისხმება ხაზგასმულ ნაცვალსახელებში? ჩაწერე შესაბამისი სახელები სწორი ფორმით და წაიკითხე.**

ა. **მას** (______________________) კინოაკადემიის წევრთა ფარული გამოკითხვით ანიჭებენ.
ბ. **ისინი** (______________________________) ხალიჩაზე ცნობილი დიზაინერების სამოსსა და აქსესუარებში ბრწყინავენ.
გ. **ეს** (__________________________________) სანტა მონიკაში ყოველწლიურად ტარდება.
დ. ჟიურის წევრები **მათ** (_________________________) თავად უგზავნიან **მათ** (____________ ______________________) სახლებში.
ე. ყველაზე მეტი ჟოლო **მას** (_______________________________________________) აქვს მიღებული.
ვ. 1929 წელს „ოსკარის“ დაჯილდოვების ცერემონიაზე **მან** (_____________________ _____ _____________________) სპეციალური ჯილდო მიიღო.
ზ. **მას** (________________________________________________________________) 1953 წლამდე რადიოთი გადასცემდნენ.

**7. მოძებნე და გაასწორე შეცდომები.**

ა. ცნობილი სახეები თავის არჩევანს ღიად აფიქსირებენ.
ბ. წითელ ხალიჩაზე ტოპმოდელი ჰოლივუდის ვარსკვლავები არიან.
გ. პირველ ცერემონიას 250 ადამიანები ესწრებოდნენ.
დ. „ოქროს ჟოლო“ ამერიკელი კრიტიკოსი დააწესა.
ე. ნომინანტების სია ცნობილმა სახეებმა ადგენენ.

**8. ამოწერე მე-3 ტექსტიდან (მოსწ. წიგნი, გვ. 49 , დავალება №6) თითო-თითო წინადადება ცხრილში და წაიკითხე. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.**

| | |
|---|---|
| **ახლანდელი დრო**<br>(მიმდინარეობს თქმის დროს) | |
| **წარსული დრო**<br>1. მიმდინარეობდა თქმამდე<br>2. მოხდა თქმის შემდეგ | |
| **მომავალი დრო**<br>მოხდება თქმის შემდეგ | |
| **ზოგადი დრო** | |

**1. გამოიყენე კონტექსტი (მოსწ. წიგნი, გვ. 49, მე-3 ტექსტი), წაიკითხე წინადადებები და შეასრულე მითითებები.**

I. *დაინახა თუ არა მარგარეტმა სტატუეტი, წამოიძახა: „იგი ძალიან ჰგავს ჩემს ბიძას – ოსკარს!“*

ა. ამოწერე ფრაზა, რომელშიც სხვისი ნათქვამია მოცემული.

______________________________

ბ. რა ფორმით არის სხვისი ნათქვამი გადმოცემული? შემოხაზე სწორი ვარიანტი.

1. გადმოცემულია შეცვლილი სახით 2. გადმოცემულია სიტყვასიტყვით

გ. ამოწერე მთხრობელის სიტყვები.

______________________________

დ. უპასუხე შეკითხვებს.

1. რა იგულისხმება „**იგი**“ ნაცვალსახელში? ______________

2. ვისი ბიძაა ოსკარი? ______________

II. *ერთ_ერთი ვერსიის თანახმად, ჟურნალისტმა სიდნეი სკოლსკიმ სტატუეტს თავისი ბიძის სახელი დაარქვა.*

ა. საიდან აქვს მთხრობელს ინფორმაცია? რა არის მთხრობელის წყარო? ______________

______________

ბ. საიდან ჩანს, რომ ოსკარი სიდნეის ბიძა იყო? ამოწერე სიტყვა, რომელიც ამაზე მიანიშნებს. ______________

**2. გამოიყენე ტექსტი ოდრი ჰეპბერნის შესახებ (მოსწ. წიგნი, გვ. 53) და მოიძიე სათანადო ინფორმაცია I და II აბზაცებზე დაყრდნობით.**

**რა არის ოდრის სტილი?** → ______________

______________

**როგორ დავემსგავსოთ ოდრის?** → უნდა ______________

______________

______________

**ვინ იყვნენ მისი:** → **წინაპრები?**

ა. ეროვნება: ______________

______________

ბ. წოდება: ______________

______________

↓

**მშობლები?**

ა. დედა: ______________

ბ. მამა: ______________

**3. მოძებნე პასუხები ტექსტში და დაწერე.**

ა. რატომ იზრდებოდა ოდრი დედასთან? ______________________________

ბ. რატომ კითხულობდა საწოლში საათობით? ______________________________

გ. რატომ ვერ მიაღწია წარმატებას ბალეტში? ______________________________

დ. რისთვის მოგზაურობდა ის აფრიკაში, აზიასა და ამერიკაში? ______________________________

**4. მოძებნე სათანადო ინფორმაცია ტექსტში და დაწერე.**

საიდან ჩანს, რომ:

ა. ოდრი ხანგრძლივი სტრესის ქვეშ იმყოფებოდა?
ბ. ოდრის ოჯახი საზოგადოების მაღალ ფენას ეკუთვნოდა?
გ. მისი ოჯახი აქტიურად იბრძოდა გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ?
დ. ოდრის განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა ენების მიმართ?
ე. ოდრისთვის საზოგადოებრივი საქმიანობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მსახიობის კარიერა.

ა. ______________________________

ბ. ______________________________

გ. ______________________________

დ. ______________________________

ე. ______________________________

**5. დაუბრუნდი ტექსტს და დაწერე, რის შესახებ არის კონკრეტულ მონაკვეთში საუბარი (რა არის მისი მთავარი თემა?).**

I. ______________________________

II. ______________________________

III. ______________________________

IV. ______________________________

V. ______________________________

**1. უპასუხე შეკითხვებს მოცემული თემების გარშემო.**

- ბავშვობის წლები

1. სად და ვისთან ერთად ცხოვრობდა ოდრი ჰეპბერნი?
2. სად სწავლობდა ის?
3. რომელი ისტორიული მოვლენა მოხდა ამ პერიოდში?
4. შეეხო თუ არა ომი ოდრის ოჯახს? თავად ოდრის? დააკონკრეტე, როგორ?
5. როგორი ბავშვობა ჰქონდა მას?

1. ______
2. ______
3. ______
4. ______
5. ______

- განათლება და მისწრაფებები

1. რა დაამთავრა ოდრიმ?
2. რამდენ ენას ფლობდა ის? ჩამოთვალე.
3. რა უყვარდა მას განსაკუთრებით?
4. რაზე ოცნებობდა ოდრი ჰეპბერნი?

1. ______
2. ______
3. ______
4. ______

- საქმიანობა და წარმატება

1. ვინ იყო ის პროფესიით?
2. რა წარმატებას მიაღწია მან პროფესიული თვალსაზრისით?
3. ეწეოდა თუ არა საზოგადოებრივ მოღვაწეობას?
4. რას საქმიანობდა კონკრეტულად?
5. როდიდან დაიწყო მან ეს საქმიანობა?
6. რომელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა?
7. რისთვის მიიღო მან ღირსების ორდენი?

1. ______
2. ______
3. ______
4. ______
5. ______
6. ______
7. ______

**2. გამოიყენე ტექსტი და მიუთითე მოცემული მდგომარეობის (ვითარების) კონკრეტული მიზეზი და შედეგი.**

| მიზეზი | | შედეგი |
|---|---|---|
| | შიმშილობა | |
| | მძიმე ბავშვობა | |
| | ბალეტში წარუმატებლობა | |
| | ხანგრძლივი სტრესი | |

**3. შეარჩიე ოდრი ჰეპბერნის ცხოვრებიდან ერთ-ერთი მონაკვეთი და ისაუბრე.**

2. მოდა საზღვრებზღვარეშე

**4. შეასრულე წიგნში მოცემული მე-5 დავალება (გვ. 55). გაიხსენე ბავშვების საუბარი და შეავსე ცხრილი მათი პასუხებით. რას ფიქრობენ ისინი მოდის შესახებ? 🎧 თავიდან მოისმინე და შეამოწმე.**

| | I მოსაუბრე | II მოსაუბრე | III მოსაუბრე |
|---|---|---|---|
| რა არის მოდა? | | | |
| რას ნიშნავს „მოდურად ჩაცმა? | | | |
| იცვლება თუ არა მოდა? | | | |
| რომელი სტილი მოსწონს? | | | |
| აქვს თუ არა საკუთარი სტილი? | | | |
| რა მოსწონს და რა – არა თანატოლთა ჩაცმულობა-ში და რატომ? | | | |

**5. გამოიყენე ცხრილი, დაარქვი ბავშვებს სახელები და მოკლედ აღადგინე მათი რეპ-ლიკები. ყურადღება მიაქციე ფრაზების სისწორეს.**

I. ________________ *აზრით, მოდა არის* ________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

II. *როგორც* ________________ *ამბობს,* ________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

III. ______________ *მიაჩნია, რომ* ______________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

**1. თავიდან მოისმინე რეპლიკები და შეადარე შენს ნაწერებს. შეამოწმე, რამდენად სწორად გახსოვს და გაასწორე ენობრივი შეცდომები.**

**2. დააკავშირე ერთმანეთთან.**

| | |
|---|---|
| 1. დაბლა ჩაწეული | ა. გამოწყობილი |
| 2. აჩემებული | ბ. გამოყვანილი |
| 3. ლამაზად ჩაცმული | გ. ჩაჩაჩული |
| 4. წელზე მორგებული | დ. შეღებილი |
| 5. ფერშეცვლილი | ე. აკვიატებული |

1. _____ 2. _____ 3. _____ 4. _____ 5. _____

| | |
|---|---|
| 1. უკან მოდის | ა. ქრება |
| 2. სხვა სახეს ღებულობს | ბ. გადადის |
| 3. სხვის მსგავსად იქცევა | გ. ბრუნდება |
| 4. აქედან მიდის | დ. იცვლება |
| 5. ილევა, თავდება | ე. ბაძავს |

1. _____ 2. _____ 3. _____ 4. _____ 5. _____

**3. აირჩიე და დაასრულე წინადადებები.**

I. <u>როგორც უნდა / რაც უნდა</u>

**ა.** ზოგი იმას იცვამს, ______________________________

**ბ.** ზოგი ისე იცვამს, ______________________________

II. <u>როგორც მინდა / რაც მინდა</u>

**ა.** ვცდილობ, ისე ჩავიცვა, ______________________________

**ბ.** ვცდილობ, ის ჩავიცვა, ______________________________

III. <u>რაც მე მომწონს / როგორც მე მომწონს</u>

**ა.** მთავარია, ისე მეცვას, ______________________________

**ბ.** მთავარია, ის მეცვას, ______________________________

**4. განმარტე შენი სიტყვებით და გააცანი კლასელებს.**

**ა.** მოდას მიჰყვება: ______________________________________________

______________________________________________

**ბ.** გრძელ თმას ატარებს: ______________________________________________

**გ.** გამომწვევად აცვია: ______________________________________________

______________________________________________

**დ.** გამოწყობილი დადის: ______________________________________________

______________________________________________

**ე.** ტანზე მომჯდარი ტანსაცმელი: ______________________________________________

______________________________________________

**5. წაიკითხე და შემოხაზე სწორი ვარიანტი. რა იგულისხმება მოცემულ ფრაზაში?**

ა. ეს ფეხსაცმელი მიჭერს.
1. ფეხსაცმელი არის მეტისმეტად დიდი;
2. ფეხსაცმელი არის ოდნავ დიდი;
3. ფეხსაცმელი არის ძალიან პატარა.

ბ. ის ბიჭი „მაგრად“ გამოიყურება.
1. ის ძალიან ლამაზია;
2. მას მოხდენილად აცვია;
3. ის კარგად ხედავს.

გ. ეს კაბა ჩემს ტანზეა შეკერილი.
1. ჩემთვის შეკერეს;
2. ისეთია, როგორიც მინდა;
3. ზუსტად ჩემი ზომაა.

დ. მე გარდერობი უნდა განვაახლო.
1. ტანსაცმლის ახალი კარადა უნდა ვიყიდო;
2. ახალი ტანსაცმელი უნდა ჩავიცვა;
3. ძველი ტანსაცმელი ახლით უნდა შევცვალო.

**6. არის თუ არა განსხვავებული დამოკიდებულება გოგონებსა და ბიჭებს შორის? უპასუხე შეკითხვებს მეწყვილესთან ერთად და გააცანი თქვენი ვერსიები კლასელებს.**

ა. რა დროს უთმობენ ისინი საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას?
ბ. რამდენად მთავარია მათთვის ის, თუ რა აცვიათ?
გ. რას ან ვის უწევენ ისინი ანგარიშს ტანსაცმლის შერჩევისას?
დ. ვინ რა სიხშირით იცვლის ჩაცმის სტილს?

| გოგონები | ბიჭები |
|---|---|
| | |

**7. წაიკითხე და შეავსე ტექსტებში გამოტოვებული ადგილები. შეასრულე მოცემული მითითებები.**

**I.** ა. მუდმივად ვწუწუნებ; ბ. ხშირად ჩაცმაც; გ. რა ჩავიცვა; დ. ვიწყებ არჩევას

*ჩემი ყოველი დილა იმაზე ფიქრით იწყება, (1) ________. გარდერობიდან ვყრი ყველაფერს და (2) ________. უამრავი ტანსაცმელი მაქვს, მაგრამ (3) ________. ხან ეს არ მომწონს, ხან – ის. არ მიყვარს ერთი და იმავეს (4) ________.*

**ა.** უპასუხე შეკითხვებს.

1. რას ნიშნავს აქ სიტყვა „გარდერობი“? ___
2. რის არჩევას იწყებს რეპლიკის ავტორი? ___
3. რატომ წუწუნებს ის მუდმივად? ___

**ბ.** არის თუ არა ამ რეპლიკის ავტორი პრეტენზიული? საიდან ჩანს? ამოწერე შესაბამისი ფრაზა: ___

___

**II.** ა. ჩემთვის სულერთია; ბ. მნიშვნელობა არ აქვს; გ. ხელში რაც მომხვდება

*წინასწარ არასოდეს ვფიქრობ, რა ჩავიცვა. (1) ___ , იმას ვიცვამ. (2) ___, გარეთ როგორი ამინდია, ან როგორი განწყობით ვიღვიძებ. რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ამა თუ იმ სამოსთან არ მაქვს. (3) ___, რა იქნება, მთავარია, სუფთა იყოს და თავი კომფორტულად ვიგრძნო. უფრო დიდ ყურადღებას ფეხსაცმელს ვანიჭებ.*

**ა.** უპასუხე შეკითხვებს.

1. არჩევს თუ არა რეპლიკის ავტორი წინასწარ ტანსაცმელს და რატომ? ___

___

2. რას ანიჭებს ის განსაკუთრებულ ყურადღებას? ___

___

**ბ.** არის თუ არა ამ რეპლიკის ავტორისათვის საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა მთავარი? საიდან ჩანს? ___

___

**III.** ა. იმის მიხედვით ვუხამებ; ბ. უპირატესობას ვანიჭებ; გ. რომ უნდა ჩავიცვა

*ერთადერთი, რაც მყარად ვიცი, (1) ___, ჯინსებია. ზედა ჩასაცმელს კი (2) ___, რა განწყობაზეც ვარ. მაქვს საყვარელი სამოსი, რომელსაც (3) ___. ძალიან მიყვარს კუბოკრული პერანგები. სხვადასხვა ფერის უამრავი კუბოკრული პერანგი მაქვს. ასე რომ, დიდ დროს არც ამაზე ვხარჯავ.*

**ა.** უპასუხე შეკითხვებს.

1. რას არჩევს და რას – არა ამ რეპლიკის ავტორი? ___

___

2. რატომ არ კარგავს დიდ დროს ჩაცმაზე? ___

___

**ბ.** აქვს თუ არა მას საკუთარი სტილი? საიდან ჩანს? ___

___

**IV.** ა. მოდას არასოდეს მივყვები; ბ. მეორე დღის ჩასაცმელს; გ. რაც მომწონს და რაც მიხდება; დ. გარეთ როგორი ამინდია.

*(1) ________________ ყოველთვის წინა დღით, დაწოლამდე, ვამზადებ. დილით კი არჩევანს იმის მიხედვით ვცვლი, (2) ________________. მიუხედავად იმისა, რომ მიყვარს კარგად ჩაცმა, (3) ________________. ვიცვამ იმას, (4) ________________. სტილს იშვიათად ვიცვლი.*

ა. უპასუხე შეკითხვებს.

1. მიჰყვება თუ არა მოდას რეპლიკის ავტორი? ________________
2. რაზეა ის დამოკიდებული ტანსაცმლის შერჩევისას? ________________

ბ. არის თუ არა ამ რეპლიკის ავტორი მოწესრიგებული და საიდან ჩანს ეს? ________________

________________

**1. დაუბრუნდი ტექსტებს და შეადარე ერთმანეთს.**

ა. შენი აზრით, რომელი რეპლიკის ავტორია გოგო და რომლისა – ბიჭი? დაასაბუთე, რატომ ფიქრობ ასე.

ბ. მოისმინე და შეამოწმე შენი ვერსია. რა დაემთხვა და რა – არა. ჩაწერე, რა ჰქვიათ.

I რეპლიკა: ____________ II რეპლიკა: ____________

III რეპლიკა: ____________ IV რეპლიკა: ____________

გ. როგორია თითოეული რეპლიკის ავტორი, შენი აზრით – ვინ ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე და ვინ – არა, ვის აქვს საკუთარი სტილი და ვის – არა და ა.შ. გამოიყენე მოცემული სიტყვები, დაახასიათე ისინი და გააცანი კლასელებს. დაასაბუთე შენი პოზიცია კონკრეტული მაგალითით.

მოწესრიგებული / მოუწესრიგებელი; პრეტენზიული / უპრეტენზიო; კმაყოფილო / უკმაყოფილი; მომთხოვნი; განსაკუთრებული

**ნიმუში:** სოფო ძალიან ......................... იმიტომ, რომ ის .........................;
გაგა არ არის ...................... ეს იქიდან ჩანს, რომ ის ...........................

| | |
|---|---|
| **სოფო** | |
| **რეზო** | |
| **მაკა** | |
| **გაგა** | |

დ. რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან? მოძებნე მსგავსება და განსხვავება მათ შორის და დაასახელე.

ე. წაიკითხე და დააკავშირე კონკრეტულ ბავშვთან. ჩაწერე, ვინ არის და შეადარე შენს პოზიციებს.

I. *მას გამოკვეთილი სტილი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად პრეტენზიულია და ნაკლებად მომთხოვნიც, მისთვის სულერთი არ არის, რას ჩაიცვამს. უყვარს ჩაცმა და აქვს გამორჩეული სამოსიც.* ___

II. *ის ძალიან მოწესრიგებულია. ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე, თუმცა ნაკლებად პრეტენზიულია და ნაკლებად მომთხოვნიც. იცვამს საკუთარი გემოვნებით. მოდას არ მიჰყვება, აქვს თავისი სტილი.* ___

III. *ძალიან მომთხოვნი და პრეტენზიულია. მოუწესრიგებელია და მუდამ უკმაყოფილო. მართალია, ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე, თუმცა არასოდეს იცის, რა უნდა. არ აქვს საკუთარი სტილი. მუდმივად ეძებს სიახლეს.* ___

IV. *უპრეტენზიოა. არ აქვს საკუთარი სტილი. არ არის მომთხოვნი. არ ფიქრობს საკუთარ გარეგნობაზე განსაკუთრებულად. თანახმაა, ყველაფერი ჩაიცვას, მთავარია, თავისუფლად გრძნობდეს თავს იმ ტანსაცმელში. განსაკუთრებული დამოკიდებულება მხოლოდ ფეხსაცმელთან აქვს.* ___

